საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030643303799220

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/2876

01 / ივლისი / 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე რ. ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის ტერიტორიაზე გეგმავს ახალი, მოდერნიზებული „PYROLYTIC" ფირმის, CP-50-A ტიპის ინსინერატორის მონტაჟს, რომლის წარმადობა იქნება 50-60კგ/სთ.

ცენტრის ტერიტორიაზე დღესდღეობით ფუნქციონირებს ინსინერატორი, რომელიც ახალი ინსინერატორის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ტერიტორიაზე დარჩება და მისი გამოყენება მოხდება, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, ორივე ინსინერატორის ერთდროულად მუშაობა არ არის გათვალისწინებული.

პროექტი არ ითვალისწინებს არსებული ინსინერატორის ახალი ინსინერატორით ჩანაცვლებას, რის გამოც საქმიანობა განხილულ იქნა ახალ საქმიანობად, რომელიც, წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს პირველი დანართის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება) და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-16 პუნქტის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ „ქ. თბილისში სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის" სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:
1. „ქ. თბილისში სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის" სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი.
2. ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია და საპროექტო ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD.

№ 12102
03 " 08 2020
1/CD

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი

ამირან გამყრელიძე